

ექსპერიმენტი

„ფოკუსი საჭაერო ბუმტით“

ექსპერიმენტის არსი

ექსპერიმენტი აჩვენებს თუ რა არის წნევა და პასუხობს კითხვაზე, გვამღევს თუ არა ერთი და იგივე წნევა (ზედაპირის ფართის მიუხედავად) ერთი და იგივე შედეგს.

საკვანძო სიტყვები

წნევა.

საჭირო მასალა

- ორი ფიცარი
- ლურსმები
- საჭაერო ბუმტი
- რაიმე სიმძიმეები (მაგალითად: წიგნები)

ყურადღება! უსაფრთხოება⚠:

ექსპერიმენტი უსაფრთხოა

განხორციელება

ვამზადებთ ერთ ფიცარს, რომელშიც მჭიდროდ ვასობთ ლურსმებს. შემდეგ ლურსმებიან ფიცარს ვათავსებთ მაგიდაზე ისე რომ, ლურსმების მახვილი ბოლოები ზემოთ იყოს მიმართული. ლურსმებზე ვათავსებთ გაბერილ საჭაერო ბუმტს და ზემოდან ვადებთ მეორე ფიცარს. ყურადღება მივაქციოთ რომ, ფიცარი არ ჩამოვარდეს. ახლა ფიცარზე შეგვიძლია რიგრიგობით დავაწყოთ სხვადასხვა სიმძიმეები მანამ, სანამ ბუმტი არ გასკდება.



Fundacja Partners Polska



ბუნებრივად
საინტერესო
გაკვეთილი





CENTRUM NAUKI
KOPERNIK

განმარტება

ცალკეული ლურსმით ბურთის გახეთქვა იოლია, რადგან მთელი ძალა იკრიბება ლურსმის წვეტზე და წარმოიქმნება მნიშვნელოვანი წნევა. თუ იგივე ძალას გადავანაწილებთ შედარებით დიდ ზედაპირზე (მაგ. რამდენიმე ლურსმანზე), მაშინ თითოეულ ლურსმანზე წარმოებული წნევა მნიშვნელოვნად შემცირდება.

ფაკირებს შეუძლიათ ლურსმებზე წოლა, რადგან ლურსმების წვეტების საერთო ფართობი საკმაოდ დიდია და მათ მიერ წარმოებულ წნევას არ ძალუძს კანის ზედაპირის მთლიანობის დარღვევა.



პოლონეთის დახმარება



მასალა შემუშავებულია პროგრამა „ბუნებრივად საინტერესო გაკვეთილის“ მორიგი ეტაპების ფარგლებში, რომლებიც თანადაფინანსებულია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავითარებისათვის თანამშრომლობის პოლონური პროგრამის ფარგლებში. პუბლიკაცია ქვეყნდება Creative Commons ლიცენზიის საფუძველზე 3.0 პოლონეთის ავტორობის მითითებით. უფლებებზე ლიცენზია ნაწილობრივ ეკუთვნის „პარტნიორები პოლონეთიდან“ ფონდს და კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრს.